

ერთს ახალს უფლებას ვკარგავთ

(1905 წელი, გაზეთი „ივერია“)

ჩვენ, ქართველებს, ხშირად გვავიწყდება ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ დიდი მდინარე პატარა ფშნებისაგან სდგება, დიდი თანხა-პატარა თანხებისაგან, საზოგადო თავისუფლება მრავალი კერძო თავისუფლებისაგან.

ეს დავიწყება არის იმის მიზეზი, რომ ხშირად აბუჩად ვიგდებთ, ტუჩს ავუკრავთ ხოლმე იმისთანა კერძო უფლებას, რომლის მოპოვებისათვის ჩვენი ჭკვიანი და მხნე მეზობლები-რეალისტნი სომეხნი-არ იშურებენ არც დროს, არც შრომას და არც ხარჯს.

აი ამისი უახლოესი მაგალითი.

მკითხველს მოეხსენება, რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭო (Государственный совет) დღემდე იყო მტკნარი ბიუროკრატიული დაწესებულება; მაგრამ ახალი მანიფესტის ძალით ხდება არჩეულთა კრებულად ნახევრობით მაინცა, და იმისთანა მნიშვნელობა და უფლება ექმნება, როგორც აქვს ზემო პალატას ევროპასა და ამერიკაში. ერთს ნახევარს ამ საბჭოს წევრებისას ნიშნავს ხელმწიფე, მეორე ნახევარს ირჩევენ სხვა-და-სხვა საარჩევნო დაწესებულებანი: გუბერნიის, საერო კრებები, საქალაქო საბჭოები, სამეცნიერო აკადემია, უნივერსიტეტები და სხვანი.

სხვათა შორის, სომეხთა ეკლესიასაც მ ი უ ლ ი ა უ ფ ლ ე ბ ა გზავნოს ზემო პალატაში ორი დეპუტატი: ერთი სომეხგრიგორიანებისა და მეორე სომეხ-კათოლიკეთა წარმომადგენელი. ყველა სხვა ეკლესიებსაც ეძლევა ეს უფლება.

ჭაჭანება, ხსენება არსად არ არის მხოლოდ ერთის ეკლესიისა.

რომლისა, სახელდობ?

რა საკვირველია, საქართველოს ეკლესიისა.

რა მიზეზით?

ეს ყველამ ვიცით საქართველოს ეკლესია, აგერ ერთი საუკუნეა, გახადეს რუსეთის ეკლესიის დამატებად, ზედ-მეტად, აბრად, დამატებას კი აბა ვინ მიანიჭებს რაიმე უფლებას. ვინ ჩააგდებს მას ანგარიშში? ვის რად ეპიტნავება იგი?

მართალია, იმ დაწესებულებას, რომლის აბრას შეადგენს დღეს ჩვენი ეკლესია, ეყოლება განსაზღვრული რიცხვი წარმომადგენლებისა სახელმწიფო საბჭოში, სახელდობრ, სინოდის მიერ დანიშნული ექვსი დეპუტატი მიიღებს მონაწილეობას საბჭოს მოქმედებაში; მაგრამ ჩვენ რა?

სინოდი ჩვენი ქვეყნიდან ან არავის არ დაუნიშნავს ან თუ დანიშნავს იმისთანა საუნჯეებს. როგორნიც არიან მამა ვოსტორგოვი და ჩვენებური ქართული ხუცესი მონაძე. ამისთანა სულიერნი - კი სულ იმის ცდაში იქმნებიან, რომ ხელი შეუშალონ ქართველ დეპუტატებს,

რომელნიც გაგზავნილნი იქმნებიან პეტერბურგში საქართველოს ორივე გუბერნიიდან საერო არჩევნების ძალით.

რა უნდა ვქმნათ, რომ აქაც მონებად არ გამოვიდეთ? იმ მონებად, რომლებიც მოკლებულნი არიან საერთო უფლებასა?

დაუყოვნებლივ ქართველმა სამღვდელოებამ უნდა იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ქართულს ეკლესიასაც მიენიჭოს უფლება არჩეული დეპუტატების გაგზავნისა სახელმწიფო საბჭოში, და ამას ბანი უნდა მისცეს თავად-აზნაურობამ და სამწყსომ.

მხოლოდ რამდენი დეპუტატი უნდა ამოირჩიოს ქართველმა სამღვდელოებამ?

მის სამართლიანი გადაწყვეტა ძლიერ ადვილია.

სომხები, რომელთა რიცხვი კავკასიაში მილიონს უდრის ირჩევენ, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ორს დეპუტატსა. მაშასადამე, თვითო დეპუტატი მოდის ნახევარ მილიონ მრევლზე. ქრისტიანი ქართველობა, სულ მცირედ, რომ ვიანგარიშოთ მილიონ ნახევარს შეადგენს. მაშასადამე სრული სიმართლე მოითხოვს, რომ ქართულს ეკლესიას ერგოს სამი დეპუტატი ამათგან ორი უნდა ამოირჩიოს დასავლეთი საქართველოს სამღვდელოებამ, სადაც მილიონი ქართველი ცხოვრობს, და ერთიც აღმოსავლეთის საქართველოს სამღვდელოებამ, სადაც ნახევარ მილიონზე მეტი ქართველი ქრისტიანია.

ეს სამი დეპუტატი მხარს მისცემს ჩვენებურს საერო დეპუტატებს და დაეხმარება პროგრესულ რეფორმების შემოღებას საზოგადოდ რუსეთში და კერძოდ ჩვენში.

ამ დახმარებაში არავის ეჭვი არ უნდა ჰქონდეს რადგან ჩვენი სამღვდელოება იმ გზას დაადგა, რომ უსათუოდ გაგზავნის დეპუტატებად იმისთანებს, რომელნიც მომხრენი არიან განმათავისუფლებელი მიმართულებისა.

მხოლოდ, სამღვდელოებამ უნდა მეტად დააჩქაროს თავისი მოთხოვნა, რადგანაც ახალი წესდებულება სახელმწიფო საბჭოსი, რომელიც ჯერ პროექტის სახით არსებობს ამ დღეებში დამტკიცდება და მაშინ გაძნელდება აღნიშნული უფლების მოპოვება. და თუ უარი მიიღო სამღვდელოებამ მაინც უნდა ამოირჩიოს დეპუტატები და გაგზავნოს იგინი პეტერბურგში სადაც თვითონვე ეცდებიან დააკანონებინონ თავისი უფლება. ამას ისიც უნდა დაუმატო, რომ ქართველ-კათოლიკეებსაც არ ეძლევათ უფლება დეპუტატის გაგზავნისა სახელმწიფო საბჭოში. მათაც დაუყოვნებლივ უნდა ეპიონ ეს უფლება და იქამდინ არ დასცხრენ, ვიდრე არ გათანასწორდებიან ამ სფერაშიაც სომეხ-კათოლიკებთან.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

დუმეთის #2 საჯარო სკოლის მოსწავლემ **მარიამ ებიტაშვილმა**

4 აპრილი, 2020 წელი **#დარჩისახლში**